

**კედაძე:** სოლოლაკუ, ბ-ლის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43  
**კანტორა კედაძის:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тип. ишт. ВЪ редакцію газ. „Дროზა“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

# დროება

საქმე ნომერი ღირს შაურათი

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.  
**ფასი განცხადების:** ყოველი ასოვნით ასოვნით—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფერითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**კედაძის უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ კვირიდან დაწყებული „დროება“ გამოვა ორგორც ახლა ყოველ დღე, მხოლოდ ორგაბათს გარდა, და არა სამგაბათს გარდა.

## „დროება“ — ჭუთაისში

ისყიდება სვიმონ ჩომახიძესთან, ბუბერნის ტიპოგრაფიაში, ბუღვარის პირდაპირ.

## ერთი ნომრის ფასი — შაური

შაურით მიიღება ჭუთაისში სალამოს 8 საათზე იმავე დღეს, რა დღესაც თფილისში გამოდის.

## ტელეგრაფები

(ოფიციალური)

### ბრძოლის ველიდან

**ზუბედი,** 18 ივნისს. ოჩამჩირესთან შეტაკების დროს, 15 ივნისს, ჩვენის მხრით დაჭრილი არიან: შუბანის პოლკის: პოდპორუჩი, იანიშვესკი, პრაპ. ანუჭრიევი; ახალც. პოლკის: კაპიტ. იარინი, შტ.-კაპ. პრიბილსკი, პოდპ. ვედეცკი, პრაპ. იოსელიანი და ღალი; ყაზახები: მსაული ბუღაენი; ჭუთაისის პირველი დრუჟინის: პოდპ. ბაბაშვილი და პეტროვსკი; სამურძაყანოს ირრეგ.

პოლკის: პარუჩი. ბათა მებუხვარი და თარჯიმანი კოლეცკი სეკრეტ. ივანე მებუხვარი. ამათ გარდა ტყვიან-გაქრულეები არიან: ღენ.-მაიორი თ. ძ. ღალიანი, შტ.-კაპ. ტუჩაჰსკი, პარუჩი. შოლჩენკო, თეიმურაზოვი და პოდპ. სონიკოვი, კამანდირი ახალც. პოლკისა შიდლოვსკი, მაიორები: თ. მ. ნიჯარაძე და იაკოვლევი; ხორუნჯი პოსტიურა და ჭუთაისის დრუჟინის პრაპ. ძლღიაშვილი.

**პარიში,** 24 ივნისს. მომეტებული ნაწილი ოსმალოს ჯარისა, რომელიც ჩერნოგორიის წინააღმდეგ მოქმედებდა, გაიგზავნება ბოლგარიაში და შეუერთდება აქაურ ღუნაის (ოსმალოს) არმიას.

**ლონდონი,** 24 ივნისს. საზოგადოებათა პალატაში მინისტრმა ნორტკოტმა სტევა, რომ ინგლისის ჭლოტი იმ განზრახვით არის ბეზიყის ნავსადგურში (სტამბოლთან) გაგზავნილი, რომ ეს ადგილი შუა ადგილია აღმოსავლეთშია და აქედამ ყველგან მოხერხებულია მისვლა-მოსვლა.

## ოჩის აზვები

### აზიის ბრძოლის ველიდან

**ბანაჰი მასრა,** 17 ივნისს. („დროების“ კორესპ.). ოთხ-კუთხე არტყია ჩვენი ჯარი შარის სიმაგრეს. ღღე და ღამე ფენ-მოუცვლელი ვდგევართ და არც მომავალს უშვებენ და არც მიმავალს.

შარის მცხოვრებლებმა სთხოვეს აქაურ ჩვენ სამხედრო მთავრობას, ბრძანება მიეცითო, რომ შიგ ქალაქს შარში ყუმბარებს ნუ ისვრიანო, თორემ მშვიდობიან მცხოვრებლებსა და ვაჭრებსა, ერთობ ღიდი ზიანი გვეძლევაო. მას შემდეგ, მართლაც ბრძანება მოვიდა, რომ მხოლოდ ციხეებისაკენ და ბატარეებისაკენ უმიზნეთ ყუმბარებიო. ეს მცხოვრებლები მას შემდეგ მოვიდნენ ამის სათხოვნელად, როცა ჩვენმა ყუმბარებმა ერთი სომხის ეკლესია და რამდენიმე მაღაზიები გააფუჭა ქალაქში.

შარსიდან გამოსულები ამბობენ, რომ ქალაქში ძალიან შიმშილობა არისო, პური ნაკლებათა აქეთ და თუ ღღე-ღღეზე მუხთარ-ფაშა არ მოგვეშველა თავის ჯარით არზრუმიდან, ჩვენი საქმე ცუდათ იქნებაო. შაშები კი გვაძნევე-

## ფალტონი

### სოფლური ორატორები

(გადმოკეთებული)

(დასასრული)

ბათავა რა მამასახლისმა თავისი მოკლე მისალმება, ნელის ნაბიჯით გასწია შუა ალაგას მისთვის დამდგარ მუთაქიან სკამისკენ; დაბრძანდა ზედ, ამოიოხრა, ტუჩების გაბერვით დაიქშინა, ღინჯათ აველ-ჩავლო თვალი იქ მგდომებს და მიძიმეთ, ტყეპნით წარმოსტევა:

— მე მსურს მოგვლაპარაკოთ დღეს თქვენ მანედ—თუ ვითარ მივცეთ დაკმაყოფილება ჩვენი უჩიტლის უკმაყოფილებას. ბუშინ ბატონი მსტატე იყო ჩემთან და მთხოვა, რომ როგორმე თხუთმეტი თუმანი, მისი წლიური ჯამაგირი, გადუტკიოთ ოც თუმნად, რადგანაც თხუთმეტი თუმანი არ ჰყოფნის და ენთხვე-

ვა მრავალსა ინტერესებსა, ე. ი. წყენასა. მე თხოვნა ესე მიწენა არა უსაფუძვლოდ და ამისთვის ჩემის მხრივ მისი ჟალუნიის გა-ოც-თუმნებას არა აქვს არა ვითარიმე ინტერესი... ე. ი. დაბრკოლება. თქვენ რაღას იტყვით, ხალხნო, და ჯამათნო...

— თხუთმეტი თუმანზე მეტი რაღა უნდა მაგ დალოცვილიშვილს?! მოისმა აქეთ-იქიდან.

— რას ამოფ ერთი, ივანე!...—წამოდგა ფეხზედ და დაიძახა დალაქმა. ხო ყელები არ გინდა დაგვჭრა, შეილოსან. ღვეინთქენით, დავლატაკდით, დავნიაედით ამ გაჭირვებულ დროს და ხუთი თუმანი კიდევ უნდა გაგვიხადოთ! სად ჯანაბიდან ვიშოვნოთ, შეილოსან, ხუთი თუმანი? აგერ სამი წელიწადია სადალაქო მესამედიც არ მოუციათ!. არა აქვთ და რა ქნან? რას მომცემენ? მაშ საიდგან რა მოვაქვავო? თქვენ თითონ იცით, რო ერთი ვენახის მეტი არა მამადია-რა:

ამითი ვიშორებ ხაზინას, ღვედელს, მტერს და მოყვარეს... სხვა რაღა გამაჩინა? ი ერთი ღერი ბიჭი მიგდია, კიბასაც აღარ ვატარებ ე თქვენ სკოლაში! არა, ძმაო, არა ფრის მომატება არ შემეძლიან...

— ძაკო-და ხუთი თუმანი ხუმრობა ხო არ არი!—ღაიძახა მექუდე ალექსამ. —ამ ფულიდამ ერთი სამიოდ მინანთული მაინც შემხვდება მე. სამი მინანთულის შოვნა, ძმაო, ადვილი არ არის, აი, ვთქვათ, მე რამტენი უნდა ვჭმინდო ტყავი, გამოეჭრა, შეეკერო... ახლა გაყიდვა თქვი... ღვერთმანი, რომ ერთი უბრალო ქულის გაყიდვაზე ათას ნაირად უნდა ვგმო ხოლმე სულიცა და ხორციცა.. აბა ამის ფასს რას მიშვრება ერთი ე უჩიტელი? „ანა, ბანა, ღონა, განა,“ დაღის, შეილოსან, ოთახში და დასძახის ბავშვებს! სხვა რაა? მე ვიცი ერთი ღიდი არზების წერას ასწავლის!

— ასწავლის კი არა, კაცო, გააწყვეტინა ტეტია სულდამ,—ღვერთია შენი

ბენო, გვეუბნებიანო, რომ ერთი-ორი კვირა კიდევ მოითმინეთო და მუხთარი სამოცი ათასის კაცი მოდის ჩვენ მოსაშველებლად და გარეკავს რუსებსაო, განგვათავისუფლებსო.

მე აღრე ვკრფილვარ შარსში. ჩინებული ქალაქია გარეგანის შეხედულებით და სიმდიდრით. თვითონ ქალაქი ორ მთას შუა არის გაშლილი შარსჩაის ორივე ნაპირზედ. მრთის მხრით არის მშვენიერად გამაგრებული ციხეები, რომელნიც ქალაქს ზევიდამ დასცქერიან; მეორეს მხრით კიდევ მალალი, შავი მთა, რომელზედაც აგრეთვე ციხეები და სიმაგრეებია გამართული.

თვითონ ქალაქი მშვენიერის ბაღებით არის შემოკული, რომლებიც მომეტებული ნაწილი სულ სომხებს ეკუთვნის; ვაჭრობაც ამათ ხელშია. სომხებს შარსში ორი ეკკლესია აქვთ....

დ. ს.—მე

მსმალოს ჯარი, რომელიც ბაიაზეთის ციხადელში დაბანაკებულს რუსის ჯარს შემორტყმია გარს, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებინ, შესდგება თურმე მართო ქურთებისაგან, რომელნიც მანის ტბილამ მსულან.

ამავე საგნის თაობაზე „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია თვითონი მდიდარი, რომელშიაც სწერია, რომ თუმცა ბაიაზეთს ათი იმდენი მსმალოს ჯარი შემორტყა გარს, რამდენიც რუსები არიან ციხადელშიო, მაგრამ ჯერ მარჯვედ არიანო და ყოველი ღონისძიება მიღებულია იმათ გამოსახსნილადო.

„მოსკოვის უწყებებივე“ გვაცნობებენ,

რომ სოხუმში დიდძალი მსმალეთის ჯარი და არტილერია გამოვიდა ზღვიდამაო და 13 ამ თვეს ეს ჯარი დეცა ილორთან ღენერალ ალხაზოვის ატრიადს, მაგრამ დამარცხებული და უკუქცეული იქნაო.

„ჩვენ იძულებულნი ვართო, ამბობს ვახ. „ბავკაზი“, რომ ერთი ფრიად მძიმე და თან შესაძრწუნებელი გარემოება გამოვაცხადოთ; საქმე იმაშიაო, რომ ინგლისელები ისეთს ტყეებს უზგანინ თურმე მსმალოებს, რომელნიც შევათუ არა კაცის სხეულში, იმ წამსვე რამდენსამე ნაწილად სქდება. ამაში დარწმუნება იმით შეიძლებაო, რომ ციხისძირში ბევრს დაჭრილებს ერთს ალაგას რომ მოხვედრია ტყვია და ერთი დაჭრილობა სჩანს, მეორე მხრით სამოთხ ალაგასა აქვს ტყვიის ნაწილებისაგან ხორცი გამოგლეჯილიო.

არზრუმშიდა „რეიტერის აგენტობაში“ იწერებინ, რომ 10-ს იენისს მუხთარფაშასთან ფიცხელი შეტაკების შემდეგ, როდესაც 2,000 კაცი მეტი დაიხოცა რუსებო, რუსის ჯარი იძულებული იყო ზეიდეკანში დაეწიაო. შემდეგ მუხთარფაშამ თავის მთავარ ბანაკად ზეინი გაიკეთა და ძალიან გამაგრდა აქაო. 11-ს რუსის ჯარი 16,000 კაცი (ლორისმელიქოვი და ბეიმანი) მიუახლოვდა ზეინს და აქ დიდ ბრძოლას მოვილიან. (მკითხველმა იცის, რომ 14-ს იყო აქ შეტაკება). ტრაპიზონის ღუბერნატორმა იზმაილ-ფაშამ დროებით მუხთარფაშის ადგილი დაიჭირა.

ვენის გაზეთს „N. F. Presse“-ში და-

ბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული შემდეგი დებუა:

სტამბოლი, 13 იენისს რეიტერში მოვიდა აქ ამბავი, რომ 11-ს რუსები სამჯერ დაეცნენ ბათუმის მახლობლად ციხისძირის სიმაგრეს და ერთიოთ უნდოდათ ამ ციხის აღებაო. შეიდი საათის განმავლობაში გაუწყნარებელი თოფის და სარბაზნების სროლა იყო. მსმალოს ჯარების სარდლად იყო თვითონ ღერეიშ-ფაშა. რუსები დიდს ზიანით უკუქცეული იყვნენ.

„ბუშინ, 12-ს, ბათუმიდამ მოვიდა ამბავი, რომ ამ დღესაც ციხისძირთან ჩვენსა და რუსების ჯარს შუა კიდევ ყოფილა შეტაკება; რუსები დამარცხებული ყოფილან და შემდეგ ამისა იმათ დაუტოვებიათ თავიანთი ბანაკი და უკან დაუწვიათ. ბრძოლას ველზე რუსებმა ბევრი სარმაჩი იარაღები დასტოვეს. ამ ორი დღის განმავლობაში რუსების მხრით უკანასკნელი 1,500 კაცი დაიხოცა და დაიჭრა.“

ბაიაზეთიდან იწერებინ ამავე გაზეთში, რომ იქაური გარნიზონი რომელიც გარ-შემორტყმულია უანგარიშო მსმალოს ჯარით, ჯერ მარჯვეთ არისო და ყველა გვარ საშუალებას ხმარობენ მცირე აზიის რუსები ჯარების, რომ გამოიხსნან ეს გარნიზონიო.

არზრუმშიდა იწერებინ, რომ იმ ცხარე შეტაკების დროს, რომელიც იენისის 9-ს და 10-ს მოხდა ღელი-ბაბასთან, რუსუს ჯარები დაიშალნენ და დაიწვიენ ზეიდეკანთანო. ორივე მხრივ 2,000 კაციმდინ იყო დახოცილი და დაჭრილიო და ბრძოლა გაგრძელდა შპ საათიო.

ვეროპის ბრძოლის ველიდამ

16 იენისს ბრაილოვთან რუსებს ღუნიაზე 28,000 კაცი ჰყოლიათ გადაყვანილი.

თავდები, ბავშვებს გვიფუჭებს ე რალაც აკოლაა!. რას ამოფუ, კაცო!. ჩემი ბიჭითინ რო შეგეხდნა, ე ორი წლის წინათ, ვიამებოდა, ისე იყო გასუქებული და თურაშაული ვაშლივით წითლათ დაბრაწული ღოყები ჰქონდა. ბაუწყრა ღმერთი ჩემ დედაკაცს, ასტყდა ერთხელ: შვილი სკოლაში უნდა მივაბაროო.... ღამიყოლია მეც. ღაიწყო ჩვენმა ბიამ სკოლაში სიარული. საცა კი შეხედებოდა ე მსტატე ოსტატი, სუ იმას ჩამძახოდა—შენი შვილი ძიეღ კარგიაო, კი კაცი გამოვო და სხვა რაღაებსაც. მეც ავდექი და როცა კი ბიჭი ფულსა მთხოვდა, საჩქაროზე ვიშოვიდი ხოლმე და მივსცემდი. იმას ფული ეო. მსტატთან მიქონდა. მე რალაც წიგნებს ყიდულობდა და აკითხებდა. ღმერთია მოწამე, რომ იმ დღედამ ჩიშმა ბიჭმა დაიწყო ჩინტილიანობა: ჯერ ნელ-ნელა ყვითლდებოდა, მერე ძიეღ გახდა. წავედი და უთხარი ემა მსტატეს: ე რა უბედურებაა

ჩემ თავს, რო ბია ასე მიხდება-მეთქი? მაგას არაფერი უშავსო, წიგნს, გვრეთი ჩვეულობა აქვსო, წავლა კაცს არ გასუქებს, გახდისო! აი მეც წორეთ იმიტომ ვარ გამხდარიო!  
უკანასკნელმა სიტყვებმა აღძრა ყველა იქ მყოფთა სიცილი....  
საწყალი მასწავლებელი გაწითლდა, მოიკრუნჩხა და ძლივს წარმოსტკვა:  
— მე უკანასკნელი სიტყვები მე არ მითქვამს.. ვერ...  
— მოიცა, მოიცა ერთი, შამა შენი გიცხონდება!. ბაწყვეტინა მამასახლისმა.  
— მრთხელ—გააგრძელა ტეტამ—უთხარა ბიჭსა: წადი ერთი გენახის კვალი გამოჩერკნე-მეთქი.... მე გენახისა არა ვიცირაო!—მითხრა კია.... მეჭუ, მეთქი! მა რათ მინდა იმათი „ბა, ბუჟს“ წავლა, თუ კი თონხაც დაგაფუყდება-მეთქი?... მერე, შამო, აღარც გავგზავნე და აღარც სკოლაში.  
— მე სულ მართალი სიტყვაა, — და-

იწყო ახლა მოხუცებულმა თედომ,—რას ბძანებ, ხუთი თუმანი სად შეიქვიდამ გამოვთხაროთ! ძველი დრო ხო არ არის, რო ვერცხლოს აბაზები გამოუღლებელი გქონდეს!. ვალსაც აღარავინ იძლევა, გულითაც რო გინდოდეს... ღრო გაუკულმართდა, პირი წახდა, გაირყენა... სადლა ძველებური კაცის ნდობა, ბიყვარული? ჩემი სულის ცხონებამ, რო ჩემ ვაჟკაცობას, როცა კი უნდა მამენდომეზინა თუმნობით და ათათ თუმნობით ერთწამს ვიშოვიდი. ნდობა იყო მაშინ, ნდობა! მხლა, ძმაო, აღარც ნდობაა, აღარც ფული! მამული მოსავალს აღარ იძლევა!. მ ხარჯი კი გვემატება და გვემატება!. ამბობენ მღვდლებს რო ჯამაგირები დაუნიშნეს, სულ ჩვენი კისრიდამ ამოიღებნო. აბა, ძმაო, რა ხუთი თუმნის წამოკიდება-ლა გვეჭირება ჩვენ!. ვალში, ვალში ვიხრჩობით, ძმაო, ამდონა ხარჯისაგან, სთქვა თავის რიგზედ სვიმონა ანტაურმა. — თხუთმეტ თუმანს რა

ამას გარდა ამ დრომდინ ზინცილიამ სისტოვოში გადაიყვანეს კიდევ 35,000 კაცი; ასე რომ 15 ათას კაცამდინ გადაუყვანიათ ერთის კვირის განმავლობაში.

ინგლისური გაზეთის „Daily Telegraph“-ის დეპეშა გვაცნობებს, რომ 12-სა და 13-სა რუსების მხრის საშინელი ყუმბარების სროლა შეიქნა რუსსუკშიო ასე, რომ რამდონსამე ალაგას ქალაქი იწვისო; მომეტებული ნაწილი ყუმბარებისა შუა ქალაქში ვარდებო; სხვათა შორის ინგლისისა და საფრანგეთის ელჩების სახლები დაუზიანებიათ ამ ყუმბარებს; თვითონ მცხოვრებლებისთვის ძალიან ცოტა ზიანი მიუცია, სული რამდონიმე კაცია მოკლული და დაჭრილიო.

ამავე გაზეთის სიტყვით, მსმალოს ჯარი ძალიან მხნეთ არის რუსსუკში, იმათ სრულიად არ აშინებთ ყუმბარები, რომლებიც სტყევასავით სცივიან ქალაქშიო. მსმალოებიც თავის მხრით ლუნაის მარჯვენა ნაპირიდან, რუსსუკიდან, ძალიან მარჯვეთ ისერიან თურმე რუსებისავენ ყუმბარებს და ამათმა ყუმბარებებმა რუსების ბატარეებს ბევრი ზიანი მისცაო.

გაზეთს „Daily News“-ში დაბეჭდილია მაჩინიდან მიღებული შემდეგი კორრესპონდენცია:

„ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ, თუ რუსები ბოლგარიაში შემოვიდნენ, თვითონ ოსმალოები ააოხრებენ ამ თავის ქვეყანას და აქაურ ქრისტიანებს დახოცვენ და დაიკლებენო. ეს-არის ახლა დადბრუნდი მე მაჩინიდან, სადაც ვიყავი იმ დროს, როდესაც მსმალოს ჯარმა

მატოვა ეს ქალაქი, რადგან, რამდენიმე საათის შემდეგ, ლუნაიზე გადმოსული რუსის ჯარი უნდა მოსულიყო აქ, — და შემძლიან დაგარწმუნოთ, რომ რასაც ოსმალოებზე ამბობდნენ, სულ ტყუილია: არცერთის ქრისტიანისათვის არ უხლიათ ხელი მიმავალს მსმალოს სალდათებს, არც იმათი სახლები და ქონება აუკლიათ. ამ ქამად მაჩინში მართო ქრისტიანები დარჩნენ, რომელთა რიცხვი 10,000-მდინ არის.“

დობრუჯაში 14 იენისამდინ ოსმალოებს მხოლოდ 15,000 კაცი ჯარი ჰყვანდათ. წინათვე განზრახული ჰლანით, თუ რუსები ბრაილოვთან გამოსულიყვნენ, მაშინ ოსმალოებს უნდა დაეცარიელებიათ სულ დობრუჯა და აქ დაბანაკებული ჯარი იმ შესანიშნავ „ოთხკუთხედში“ უნდა გადაეყვანათ, რომელსაც შეადგენს რუსსუკისა, სილისტრიისა, შუმლისა და მარნის სიმაგრეები. მაშა სადამე უმთავრესი შეტაკება რუსეთისა და მსმალეთის ჯარებს შუა ამ ოთხკუთხედში მოხდება.

რომიდამ იწერებიათ, ვითომც ინგლისისა და იტალიის მმართველობას ერთმანეთში მოლაპარაკება აქეთო იმის თაობაზე, რომ თუ ეთხელ-ორჯელ დამარცხა რუსეთმა მსმალოები, წინადადება მივსცეთ რუსეთსა და მსმალეთსაო, რომ ბრძოლა შესწყვიტონ და მორიგდნენო.

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ ამ თვის 16-ს ხელმწიფე იმპერატორი სისტოვოსთან გადასულა ლუნაიზე, დაუხედავს ლუნაის მარჯვენა ნაპირზე რუსის ჯარი და მადლობა გამოუტყადა იმ მხნეობისათვის, რომელიც იმათ ლუნაიზე გადასვლის დროს

გამოიჩინეს. სისტოვოში ხელმწიფეს მიგებიათ ბოლგარიის მცხოვრებლები და სამღვდლოება.

მთავარი კვარტირა რუსეთის ლუნაის ჯარისა ჯერ ზინცილიაში გადაუტანიათ და მერე, როგორც „Foiote“-ის დეპეშა გვაცხობინებს, სისტოვოში.

ლუნაიზე გადასვლის დროს, რუსების მხრით, ოფიციალურის ცნობით, მხოლოდ 100 კაცი მოუკლავთ და 360 დაუჭრიათ.

დობრუჯესა და ჩერნოვოდს შუა მსმალებს 25,000 კაცი ჯარი ჰყავთ თურმე დამზადებული; აქვე გაუზგზენიათ ჰასან-ბეი თავის ეგვიპტელებით, ასე რომ აქ პირველ შეტაკებას მოელიან მსმალეთისა და რუსის ჯარს შუა.

მსმალეთის მმართველობა უმაღლეს თურმე ხალხს რუსის ჯარის ლუნაიზე გადასვლას. მისულა თუ არა ეს ამბავი სტამბოლში, იმწამსვე სამხელრო რჩევა შეკრებილა მინისტრებისაგან და გადაუწყვეტიათ, რომ რაც შეიძლება ახლავე მომეტებლი ჯარი უნდა გავგზავნოთ კიდევ ლუნაიზედაო, რომ შევჩეროთ რუსებიო. ამ განზრახვით მიუწერიათ აბდულ-მერიმ-ფაშისთვის დეპეშა, რომ გამაგრდი, აქედამ ახალ ჯარს ვაგზავნიოთ, ამავე ჰაზრით, ოსმალებს გამოჰყავთ თურმე ჯარები ჩორნოგორიის და ალბანიის სამხლერებიდან და ბრძანება მიუცია, რომ ეს ჯარები ლუნაიზე გაემგზავრნონო.

„რეიტერის აგენტობაში“ დაბეჭდი-

ვაი-ვაგლახით ვშოულობთ და ვაძლევთ, მეტი რაღა უნდა ერთი?! ლმერთია მოწამე, რომ თხუთმეტი თუმანი ერთათ არც კი მინახავს ჩემ სიცოცხლეში.

— მე ყველა ვგრეა—იწყო ახლა ნინია მჩხადემ, — მაგრამ ერთი ესეცა ვსთქვათ-რას წავლობდენ, შეილოსან, ე ჩვენი ბიჭები? ან რა თავში ვიხალო წავლა!. მამაჩემი და პაპაჩემი თუ სკოლაში არ ბარებულან, იმიტომ კაცები ვერ იყვნენ!.

საწყალი მასწავლებელი მკვდარივით ენაჩავარდნილი და გაყვითლებული იჯდა. სახეზედ ეტყობოდა, რომ მას სათქმელი ბევრი რამ ჰქონდა, მაგრამ ვერ ჰბედავდა ლაპარაკის დაწყებას. მისი თვლები თითქო შემწვობის სათხოვენლად, მალმალ იქცეოდნენ მამასახლისისკენ, მაგრამ ეს, როგორც ყოველს მოსამართლეს შეჰფერის, გაჩუმებული იჯდა და მხოლოდ ათასში ერთხელ თავის გრძელი უღღაშების გრუნით საზოგადო ლაპარაკ

კში თითო — ოროლა სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე; შემდეგ მივიცემოდა ისევ რაღაც ფიქრებს და იყო ჩანთქმული მათში, სინამ კვალად არ მოუვიდოდა ტუჩების განძრევის სურვილი. ამნაირად მასწავლებელი ამ მოწინააღმდეგე ხალხში მხოლოდ ერთად ერთი რჩებოდა. მისი უკანასკნელი იმედი ახლა პეტრიკას უღიაზედ დამყარდა, რადგანაც ამ წარსული ბაასის დროს უკანასკნელს არაფერი არა უთქვამს-რა. მაგრამ ამაშიაც მოსტყუედა. პეტრიკა, მართალია, დიდხანს ჩუმათ იჯდა და კაცასავებ შესქეროდა მამასახლისს, მაგრამ შემდეგ, რაკი შეიტყუო, რომ მამასახლისი არ იყო მასწავლებლისაკენ, მოსწყვიტა თავისი სიხუმე და სხვების ნათქვამს ესეც დაუმატა:

— ცუდათ არის, ძმაო, ცუდათ ჩვენი წუთი-სოფელი! მ წმინდა ბიორგის მადლმა, რომ ბატონყმობის დროს უფრო გამოუღვევდი ქონდა გლეს კაცს ლუკმა პუტი, სინამ ესლა ტყე ჩვენი არ არის,

მამული ბატონ დარჩა... ზამოიყიდეთო! რითი—მე ვისაც აქ არ გესმის... ჩვენი ცხოვრება მიწაშია, მიწა სხვას დარჩა და მამ რაღა ჯანაბით გამოვიყილოთ მიწები?.. ხარჯი კი მატულობს და მატულობს.. ახლა ე რაღაც სკოლა აგვიტყვის: თხუთმეტი თუმანიც არა კმარაო, ოცი თუმანიო!.. სადა, ძმაო, რითი? რა გვაბაღია? აგვიღეთ ბარემ და ცოცხლები ჩაგვყარეთ სამარეში!..

— არა, არა, მომატება არაფრისა არ იქნება—ერთხმად წამოიძახეს გლეხებმა.

— არ იქნება და ნუ იქნება! სთქვა მამასახლისმა და წამოიწია ფეხზედ.

ამშალნენ გლეხებიც. ცოტა ხანს უკან ოთახში მხოლოდ მასწავლებელი და დლიოდა.. — ლმერთმა რა უყოს ჩემ დედამას, რომ ერთი ხელედა რამე მაინც არ მასწავლეს-რა! წაიბუტბუტა ნაღვლიანი ხმით მასწავლებელმა და მიწვა თავის გამხმარსკამებზედ 6. ლ—

# განცხადებანი

## „ქვეთი“

სარძეო სარდაფს „ქვეთი“, ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნალევი, მცენარეული, ცხიერი, ყველი, უღელარი და ადუღებული რძე და მაწონი.

ამ ზაფხულს მსურველთა შორის შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საქირა, რომ დანაკლებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდეს.

სარძეო სარდაფი „ქვეთი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუხეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

### ისყიდება ქვემო-მოყვანილი ქართული ჯიხვები:

- 1) მრთი წლის „საქართველოს მოამბე“ ყდაში,
- 2) გეოგრაფია საქართველოს მეფე შაჰრუხისა,
- 3) მიწერ-მოწერა ქართველთა მეფეებისა რუსეთის ხელმწიფეებთანა,
- 4) ჩუბინოვის დიდი ქართული, რუსული და ფრანკო-რუსული სლავარი,
- 5) ძველი ალექსანდრე, ვენეციაში დაბეჭდილი
- 6) ჩუბინოვის პატარა რუსული და ქართული სლავარი,
- 7) ძალმასობა იოანე ბატონიშვილისა, და პლატონ იოსელიანის გამოცემული წიგნები და ქართული ჟურნალი „ცისკარი“ დაარსებულად ვიდრე მოსპობამდინ, ესე იგი 1852—1853 წლამდინ და შემდეგ 1857 წლიდან, ვიდრე 1875 წლამდინ, ხოლო რამდენიმე ნომერი კი აკლია.

უასის გაგება ქვეთიმე ხელადის სტამბაში შეიძლება.

ლია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომ ბობარტ-ფაშას სამინისტროს რჩევაში ის ჰაზრი გამოუთქვამს, რომ მსმალეთის ფლოტის უმთავრესი მოვალეობა და საქმე ამ ჟამად ის უნდა იყოს, რომ რუსეთის ჯარს ლობრუჯაში გადასვლა უნდა დაუშალოს. „მე მზათა ვარ ხმელთა შუა-ზღვაში წავიდე ჩემის ფლოტითაო, სთქვა თურმე ბობარტ-ფაშამ, რუსეთის ხომალდების საძებნელად და დასატუსაღებლად, რადგან მდგის ყუმბარების დაშენას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ამ მხრით (პირიმისაკენ) ჩვენ ჯარებს ვერ გავიყვანთ ხმელეთზედაო.“

## უცხო ქვეყნები

### საზრანგეთი

როგორც პარიჟიდან მისულ დეპეშამ გვაცნობა, 13 ივნისს მოუსპიათ ნაციონალური ძალების სხდომები. ამ ძალების თავს-მჯდომარემ ბრევიმ უკანასკნელს სხდომაზე, სანამ მარშალის დეკრეტს წაიკითხავდა ამ დეკრეტის თაობაზე, მოკლე სიტყვა სთქვა, რომელშიაც დეპუტატებს გამოუცხადა, რომ საფრანგეთი დაფასებს იმ თქვენს შრომას, რომელიც თქვენ ამ ხალხის სასარგებლოთ გასწიეთ. შემდეგ იმან წაიკითხა შემდეგი დეკრეტი რესპუბლიკის პრეზიდენტის მარშალ მაკ-შაჰონისა:

„რესპუბლიკის პრეზიდენტმა, 25 თებერვლის 1875 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლის ძალით, სენატთან დათანხმებით, შემდეგი განჩინება დასდვა:

„მუხლი 1. დეპუტატების პალატა დათხოვნილია.

„მუხლი 2. ახალი დეპუტატების კენჭის-საყრელად ამომრჩეველები სამის თვის განმავლობაში იქნებიან მოწვეულნი.

„მუხლი 3. შინაგანი საქმებისა და იუსტიციის მინისტრებს მინდობილი აქვთ ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა.“

მიცემულია პერსალში, 25 ივნისს 1877 წ. მარშალი მაკ-შაჰონი.

მინისტრების რჩევის ვიცეპრეზიდენტი იუსტიციის მინისტრი დე-ბროჰლი და შინაგან საქმეთა მინისტრი დე-ჟურტუ.

ამ დეკრეტის წაკითხვის შემდეგ დეპუტატები ადგნენ თავიანთ ალაგიდამ, დაიძახეს: „ზაუმარჯოს რესპუბლიკას! ზაუმარჯოს საფრანგეთსა!“—და დაიშლნენ.

### კავკასიის საზოგადო. ინსტიტუტი

მზობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღამეში უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავთამყოფი ქალები და ყმაწვილების.

ძალის ავთამყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11-მდინ—დოქტორი მანაოვი.

მთხზაბათობითა და შაბათობით 12 საათიდან 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დან 12-მდინ—დოქტორი ალბანოვი.

საყმაწვილო ავთამყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდან 12-მდინ და კვირაობით 10-დან 11-მდი—დოქტორი უშა-შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა.

რემერტის, ალბანოვის და მანაოვის ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალბო ავთამყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთამყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში—1 მანეთი.

რკ. მზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ.	ბირჟა	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.
მთილისი	9 21	5 18			მცი სიტყვა მთილისიდან:		პეტერბურგი, 22 ივნისს		მთილისი, 25 ივნისს	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ძუთაისს, უთოს	1	მრთი მანეთი ღირს:		შქვ. თეთ. მანჯისა, ფთ.	1 25
ზორი	11 58	9 43	40	23	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 3 1/2 პენსი.	78	შქვილი წითელი.	1
ხაშური	1 29	11 57	3	92 2 18	როსტოვს, მდგხას, მოსკოვს	2	პარიჟში 267 ნანტიმი.	81	ქერი ფუთი.	70
სურამი	1 44		4	42 2 46	პეტერბურგს, მარშავს	2	მსკონტი(სარგებლისფასი)	7 1/2	ბაშა მრეწვისა, ფუთი.	7
ქვირილა	5 49		5	81 3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი.	8 50
რიონი	6 47		6	75 3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი(პირველისფასი)	214 25	ბაჟენტილი ბაშა ფთ.	7 80
სამტრედია	7 41		7	73 4 29	ინგლისში.	3 75	მოგებიანი (მეორე სფასი)	208 25	მატყლი თუშური ფთ.	6
აბ-სენაკი			8	57 4 76	უოზა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	3 80
შოთი	9 40		9	75 5 42	ა) მთილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		მთილ. სააზნ. ბანკისა.		აბრეშუმის ნუხური სტ.	2 20
შოთი	9 13				მზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ.		ხერსონის ბანკის (5 1/2)	83	ძონი, ფუთი.	5 50
აბ-სენაკი			1 18	66	ბ) ძუთაისიდან:		მოსკოვის (5%)	90 50	ძონის სანთელი ფუთი.	6 20
სამტრედია	11 16		2 6	1 14	მთილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—ორშ. და პარასკ.		აქციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	12
რიონი	12 13		3 4	1 69	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მდგხის საეჭრო ბანკის	158	ხორცი ძროხისა, ლიტ.	72
ქვირილა	1 18	ღამე	3 98	2 21	ლია წიგნის	4	შოთი-მთილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრა.	72
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	შაიზ ზღვის ცეცხ. ვეშების	465	სპირტი, გრადუზი	12
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			ბაქოვის და მერკურის.	203	შაქარი, ბროც. ფუთი.	7 80
ზორი	7 5	4 87	36 4 9				პირვ. საზღვევ. საზოგ.	735 50	— ფხენილი ფუთი.	7 50
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5 4				პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	შავა გრვალი, ფუთი.	25
მთილისი	9 31	7 56	9 75 5 42				მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9
									მქობა 1/2 იმპერიალი.	7 60